საქართ. ნაციონალ. პარტია.

კლდე

კვირა
აპრილის 4
(მარტის 22)
1920 წელი
№ 14
ფასი 4 მან.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს
სოფლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

,,კლდე''

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის
10 საათიდან 3 საათამდე.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 200 მან.

მისამართი კონტორის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5.
რედაქციის: წყნეთის ქ. № 17.

ტელეფონი 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მეთაური დამატებითი არჩევნების შედეგი.
გ. იმნაიშვილი კიდევ ეკლესიის გარშემო (პასუხი პ. მირიანაშვილს).
ბათუმის არჩევნების გარშემო.
საფრანგეთის კომისარი დე-მარტელი ბათუმში,
რკინის გზის ნაციონალიზაცია.
ხევსურთა მოძღვარის (ზ. წიკლაურის) მოკვლა.
მიხ. წერეთლის ჩამოსვლა.

უკანასკნელი ცნობები

მეორე დამატებითი არჩევნები.

დამფუძნებელ კრების მეორე დამატებითი არჩევნები დასრულდა აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) აბხაზებმა, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილოებმა, საერთო ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს.

მხოლოდ კოდორის მაზრის რამდენიმე სოფელში ჩვენი პარტიის თანამოაზრე აფხაზების (ხვარცკიას, შლატერის, კიუტის გვარები) ხათრით მივიდნენ არჩევნებში და იქ, უმეტესად ჩვენ, ეროვნულ პარტიას მისცეს ხმა;

ასე იყო მაგალითად წმინდა აფხაზურ სოფელში—კინდღაში, სადაც ჩვენმა სიამ № 8 მიიღო 115 ხმა, ხოლო სოც.-დემ. 30 ხმა: საბოლოოდ ხმების დათვლა არ დასრულებულა; ჯერ-ჯერობით გვაქვს მიღებული (გაგრის გარდა) 235 ხმა.

მაგრამ. ვიმეორებთ, საერთოდ ვერც ჩვენმა პარტიამ და ვერც მთავრობის პარტიამ ვერ შესძლეს აფხაზების მასიური ბოიკოტის დაძლევა.

რაც შეეხება არა აფხაზურ, უმეტესადად მეგრულ ბოლშევიკურ რაიონებს, იქ ჩვენ არ გვიმუშავია; ამ რაიონებში, კერძოდ სამურზაყანოში სოციალისტ-რევოლუციონერებმა დაამარცხეს სოციალ-დემოკრატები.

საერთოდ კი არჩევნებს მეტის მეტად გულგრილად შეხვდენ არა-აფხაზებიც: მეგრელების ამომრჩევლების მეოთხედმა მიიღო მხოლოდ მონაწილეობა.

აღმოსავლეთ საქართველოში დამატებით არჩევნების შესახებ ცნობები გვაქვს ჯერ-ჯერობით მხოლოდ გომბორის რაიონის ხევსურთ სოფლებიდან-იქ ჩვენს სიას როგორც მოსალოდნელი იყო, მიუღია თითქმის ყველა ხმები 330.

პრაქტიული შედეგი დამატებითი არჩევნებისა ჩვენი პარტიისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ეხლა მიღებული ხმები, იმ ნაშთან ერთად (4.400) რომელიც პირველ დამატებით არჩევნების შემდეგ დაგვრჩა, უზრუნველყოფს ჩვენი მეორე დეპუტატის გაყვანას დამფუძნებელ კრებაში.

საერთოდ ახლანდელმა დამატებითმა არჩევნებმა ნათლად დაამტკიცეს, თუ როგორ გარდამავალი ყოფილა სოც.-დემოკრატების გავლენა ხალხში.

კიდევ ეკლესიის საკითხის გარშემო.

ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო მკითხველო, თქვენ წინაშე, რომ კიდევ თავი უნდა მოგაწყინოთ მირიანაშვილის უსაფუძვლო გამოლაშქრების გამო.

ამ ვაჟბატონმა სახალხო საქმის 755 № დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ეკლესიის მოსპობას ქადაგებდა.

მე დავგმე მირიანაშვილის საქციელი (კლდე № 11).

მირიანაშვილს ვერ მოუნელებია ამნაირი ჩემი საქციელი, ამოფარებია დემოკრატიას, როდესაც მასში დემოკრატული ნიშან-წყალიც კი არ არის, აუარებია თავი ქართველი ერის ცხოვრების მემატიანედ და ღრიალებს, როგორ გაბედეთ ჩემს წინააღმდეგ ხმის ამოღებაო (სახალხო საქმე № 786).

,,ვიღაც იმნაიშვილს განუზრახავს დღევანდელი ხუცესი ,,გლახის ნაამბობის'' მოძღვრად მოაჩვენოს საზოგადოებასაო''...

შესაძლებელია ,,გლახის ნაამბობის'' მოძღვრის მიმდევარი ხუცესიც იყოს დღეს ჩვენში, მაგრამ მე მას კი არ ვიცავ, არამედ სიმართლეს; მე ვიცავ სარწმუნოებას და ეკლესიას იმდენად, რამდენადაც ის საჭიროა ქართველ ერის ბედნიერებისათვის და ნებას არავის ვაძლევ ჩემი რწმენის შებღალვისა.

ქრისტიანობა უდიდესი მოვლენაა ქვეყანაზე და მისი მოსპობით კაცობრიობას დიდი ზარალი მოუვა.

ამიტომაც განათლებულნი ევროპიელნი: ნემცები, ინგლისელები და სხვანი კიდეც აფასებენ და ქარბუქიან მირიანაშვილისავით კი არ ეპყრობიან სარწმუნოებას.

ქართველი სამღვდელოება სრულიადაც არ საჭიროებს სხვის ქომაგობას. ის რუსეთის სინოდს არ უშინდებოდა, და ნუ თუ საღერღელ აშლილ და ნერვებ მოშლილ მირიანაშვილს შეუშინდება!

მირიანაშვილს პასუხი იმიტომ არ გასცა სამღვდელოებამ, რომ იყეფოს მირიანაშვილმა, რამდენიც უნდა, დაიღლება და გაჩერდებაო, იფიქრა მან და ასედაც იქნება.

საწყალ მირიანაშვილს ჩემი კვენაც უსურვებია და ამბობს ,,ვიღაც იმნაიშვილიო''... ვითომ ვერ მიცნობს, ვინც ვარ!

ვინც მიცნობს, მისთვის გერასიმე იმნაიშვილი ვარ და არა ვიღაც იმნაიშვილი, მაგრამ ,,ვიღაცას'' სახელი სწორედ მირიანაშვილმა დაიმსახურა: ვისაც წაუკითხავს მისი წერილები, ამბობენ გაკვირვებით: ,,რა სისულელე დაუწერია ეს, ვიღაცა დახელთილი მირიანაშვილი არისო''.

მირიანაშვალს ვერ უგრძვნია, რომ ის უარესის ღირსი იყო და ჩემი პასუხი მის თავხედობასთან შედარებით კეთილშობილურად უნდა ჩაითვალოს. იგი განგაშებს: ,,ვიღაც იმნაიშვილია, სცდილობს ჩემი პიროვნება ჭორით და ცილის წამებით საქირდლად გახადოს მასის თვალშიო''. ძლიერ მსუბუქი გონების ყოფილა მირიანაშვილი, რომ ვერ შეუგნია, ჩემმა წერილმა გახადა ის საქირდლად, თუ თვისმა. ნუ თუ მან ვერ გაიგო, რომ მისმავე პასკვილებმა მას ფასი და ღირსება მოაკლეს საზოგადოების თვალში?

მე არსებობაც კი არ ვიცოდი მირიანაშვილის პირველი წერილისა, როდესაც სხვებმა, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სამღვდელოება—ეკლესიასთან, მითხრეს, როგორც ზემოდ მოვიხსენიე, ,,იმ-ვიღაც დახელთილ მირიანაშვილს რა დაუწერია ესაო''. თვითონ გაიხადა თავი საქირდლად და ვერ შეუგნია, და სხვას აბრალებს.

კვეთებით შეპყრობილი მირიანაშვილი გაზეთ ,,კლდი'' ს რედაქციასაც მივარდნია გასაწიწკნად უშვერი სიტყვებით იხსენიებს და მომაკვდინებელ ცოდვად უთვლის მას ისეთ მიმართულებას, რომელზედაც უნდა იდგეს დღეს ყველა ერი, თუ თვისი არსებობა სურს.

პატივცემულო მკითხველო, განა დღეს ყველა ერნი ნაციონალურ-ეროვნულ ნიადაგზე არ იბრძვიან? მაშ რა არის აქ დასაძრახისი ,,კლდისათვის'', რომ ოცნებიანი მირიანაშვილი პატივსაცემ გაზეთის რედაქციას ,,კუნაპეტ ნაციონალისტების კლდეთ'' ნათლავს?! როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც დღეს ნაციონალურ-ეროვნულ თვით შეგნებაზეა დამყარებული არსებობა და ამ გზას უკვე დაადგა ქართველი ერი, რასაც ამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსება, ყოველივე დაწესებულებათა განაციონალისტებ-გაეროვნება. თუ მართლა ნაციონალური გაზეთია ,,კლდე'' და თავის ერის ნაციონალურ-ეროვნულ ინტერესს იცავს, დიდება და პატივი მის დაამარსებელს და სირცხვილი და სილაჩრე მირიანაშვილს, უარმყოფელს ქართველი ერის ნაციონალურ მიმართულებისას და სათვალძაქცოდ გახვეულს ეროვნულ ტყავში და მოკალათებულს ქართულ გიმნაზიაში, რომლის დანიშნულება ქართველი ერის შვილების ნაციონალურ-ეროვნულ ნიადაგზე აღზრდაა.

ჩემს მირიანაშვილისადმი მიმართულ წერილში, სხვათა შორის, აღვნიშნე მირიანაშვილის წევრად არჩევა 1917 წელს საეკლესიო მმართველობაში, რისაც საბუთად მქონდა როგორც წერილობითი, ისე თვით მირიანაშვილის პირადი განცხადება. ხშირად ვხვდებოდი მირიანაშვილს და რო ვეკითხებოდი: პეტრე, სად ბრძანდებოდი მეთქი, მიპასუხებდა: მე კრებაზე და ტაძარში დავივარ, როგორც ქართველი ინტელიგენტიო''. როგორც სჩანს, ის სხვა დრო იყო მირიანაშვილისათვის და ახლა სულ სხვა დრო დასდგომია, უკეთ რომ ვსთქვათ, მაშინ ის ბავშვი იყო, არ ესმოდა, თუ რას სჩადიოდა და ახლა ჭკუა-გონება მოუკრეფია და გაიძახის: ,,მე კლერიკალი არა ვარ, არც ვისმე აურჩევივარ წევრადო''. ქართული ანდაზაა: ,,მტყუანს კარამდი მიჰყევიო'' და ჩვენც მივყვეთ. წერითი საბუთი აი რას გვეუბნება: 1917 წელს, მარიამობისთვის 11 პეტრე მირიანაშვილი, წარმოდგენილი თფილისის დიაკონ-მედავითნეთა ორგანიზაციის მიერ, აურჩევიათ წევრად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობაში (იხილეთ ოქმი 1917 წლის მარიამობისთვის 11 დიაკონ-მედავითნეთა ორგანიზაციის კრებისა).

ამის შემდეგ მირიანაშვილი შედიოდა დროებით მმართველობაში წევრად, როგორც დიაკონ-მედავითნეთა წარმომადგენელი, და ესწრებოდა მმართველობის კრებებს და იღებდა მუშაობაში მონაწილეობას (ყველა ეს სჩანს დროებით მმართველობის ოქმებიდან).

1917 წელს 4 ენკენისთვეს პეტრე მირიანაშვილი აურჩევიათ მდივნად დროებითი მმართველობაში.

პეტრე მირიანა შვილი იყო წევრად სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისა, როგორც დროებითი მმართველობის წევრი (იხილეთ სამანდატო კომისიის მიერ დამტკიცებული სია საეკლესიო კრების წევრთა, 1917 წელი, 10 ენკენისთვე, საეკლესიო კრების სხდომის ოქმი № 4).

გარდა ამისა მირიანაშვილს ახლო დამოკიდებულობა ჰქონია სასულიერო მთავრობასთან, რასაც ამტკიცებს შემდეგიც: მას (მირიანაშვილს) უყიდნია თვისი ფულით მატერია ღვინის ფერი და მიურთმევია კათალიკოზისათვის ბარტყულების შესაკერავად.

გარდა ჩამოთვლილ საბუთებისა ყველა (თითქმის) ჩვენი გამოჩენილნი: ისტორიკოსნი, მწერალნი, პუბლიცისტნი და სხვანი, რომელთა გვარები ჩამოთვლილია ,,დოკუმენტებში'', მოწამენი ბრძანდებიან ამისა.

ჩემს პირველ წერილში, რადგანაც მირიანაშვილი უკიჟინებდა სამღვდელოებას უმოქმედებლობას, აღვნიშნე მისი (სამღვდელოების) ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რეჟიმის სისასტიკე და სამღვდელოების უპირველესობა მომქმედ წოდებათა შორის. სხვა წოდებაში სამღვდელოებასავით მედგრად რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ ვერ მოქმედებდნენ მეთქი. მაგალითად დავასახელე ქართული გიმნაზიის აკლება და მჩხავანების-როგორიც მირიანაშვილია, ნაცარქექიობა—სილაჩრე. სრულიადაც არ მიხსენებია მირიანაშვილის გიმნაზიის კრებაზე ყოფნა-არყოფნის შესახებ რამე. ეს არამკითხე ცხოვრების მემატიანე და დემოკრატების მხსნელი დიაკონ-მედავითნეთა პამპულა მირიანა შვილი თავს მართლულობს, მე კრებაზე არ ვიყავიო. არ იყო და ნუ იყო. არც საჭიროა.

მირიანაშვილი გაუზნეურებულ ბავშვს მაგონებს, რომელმაც, თუ დედამ არ მისტყეპა, შეიძლება სახლს ცეცხლი წაუკიდოს და დასწვას. ჯერ სამღვდელოებას მიადგა საძიძგნელად, შემდეგ ეკლესიას და ახლა სახარებას და თვით ქრისტესაც. არ უყურებთ, მკითხველნო, ამ თამამ არამკითხე მოამბეს?!

მირიანაშვილმა რაც უნდა, ის გაიღმერთოს; ვისთვის რა საჭიროა, ის სინიდისს, შეგნებას, თუ ნამუსს გაიღმერთებს? რწმენაში ყველა ადამიანი თავისუფალია, ვისაც რა უნდა, ის ირწმუნოს, ხოლო სხვის რწმენაში ხელის ფათურის უფლება არავის აქვს.

თუ ვინმე თავხედობას გამოიჩენს და გაკადნიერდება როგორც დიაკონ-მედავითნეთა წარმომადგენელი მირიანაშვილი, საკადრისსაც მიიღებს. ყველა დაეპატრონოს თავის სულს და თავის თავს მოუაროს.

ის მართლა თავს იგდებს და მიჰქარავს, ვინც სხვისი სულის პატრონობას ჩემულობს.

გ. იმნაიშვილი.

ბათუმის არჩევნები.

ბათუმის საქალაქო არჩევნების დაუტკიცებლობის გამო გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო'' სამართლიანად აღშფოთებულია. მოგვყავს მოწინავე წერილი, 26 მარტის ნომერში მოთავსებული:

თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქ ბათუმის მცხოვრებლებმა ქალაქის საბჭოს ხმოსნები აირჩიეს. ამრჩევლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი შრომა ფუჭად არ ჩაივლიდა; დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალაქის წინაშე მათ დიდი საპასუხისმგებლო საქმე დაეკისრათ. და ცდილობდენ ეს მოვალეობა პირნათლად შეესრულებინათ. [illegible] განმავლობაში ამ[illegible] საარჩევნო სამზადისში იყვნენ. [illegible] ცდილობდენ, რომ [illegible] არ გა[illegible] ისინი. ვინც გამოარჩიათ, [illegible] ქალაქის თვითმართველო[illegible] და თავის უფლების აღდგენას მოითხოვდენ. არჩევნების დღეს ქალაქის თვითმართველობას დიდძალი ამრჩევლები მოაწყდენ. მოქალაქენი რამდენიმე საათობით იდგნენ რიგში და უცდიდენ თავის რიგს. ერთი სიტყვით ამრჩევლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს არჩევნებისადმი.

ქალაქის თვითმართველობამაც დიდი შრომა და საშვალება დახარჯა არჩევნებს. საარჩევნო კომისიამ, რომლის წევრები ინგლისის სარდლობის მიერ იყვნენ დანიშნულნი, მთელი თვეობით იმუშავა არჩევნების საქმეებისათვის: შეადგინა საარჩევნო კანონი, რომელიც იმავე ინგლისის სარდლობამ მოიწონა და დაამტკიცა; მოიწვია მწერლები და მათი საშვალებით მოახდინა ამრჩეველთა აღწერა; განიხილა გამოტოვებულთა საჩივრები; შეადგინა პირველი და მეორე შესწორებული სია ამრჩეველთა; დაამზადა საარჩევნო პროცედურისათვის ბიულეტენები და კონვერტები და სხ.

შემდეგ განიხილა საჩივრები და არჩევნები კანონიერათ სცნო.

ერთი სიტყვით როგორც საარჩევნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისია, ისე ამრჩევლები ფიქრობდენ, რომ სერიოზულ საქმეს მოჰკიდეს ხელი; ფიქრობდენ, რომ ქალაქ ბათუმს 29 თებერვლის შემდეგ ეღირსება მცხოვრებთა მიერ არჩეული საბჭო, ეღირსება საბჭოს მიერ არჩეული გამგეობა.

მარა, როგორც ვთქვით, არჩევნების შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და ბ-ნ სამხედრო გუბერნატორს ჯერაც არ დაუმტკიცებია არჩევნები.

საარჩევნო კანონი თვით ბ-ნ გუბერნატორმა დაამტკიცა. არჩევნებს ხელმძღვანელობდენ თვით ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის მიერ დანიშნული პირნი. არჩევნები კანონიერათ სცნო თვით ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის მიერ მოწვეულმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო ინგლისის საოკუპაციო ჯარის ოფიცერი ბ-ნი ნორმანი.

მაშ რაშია საქმე? რატომ არ ამტკიცებენ არჩევნებს? ჩვენ ვიცით, რომ დენიკინელი რუსები ვერ დარჩნენ კმაყოფილნი არჩევნების შედეგით. ჩვენ ვიცით, რომ აქაური რუს შავრაზმელთა გაზეთმა ,,ნაშ-კრაიმ'' გაილაშქრა არჩევნების შედეგის წინააღმდეგ და თავის წერილის სტრიქონებს შუა მოითხოვა, რომ არჩევნები არ დაემტკიცებინათ.

ნუ თუ მიტომ არ ამტკიცებენ არჩევნებს, რომ მართლაც ყურადღებს შავრაზმელების მოთხოვნას? ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მოთხოვნა რუს შავრაზმელებისა აქ დიდის გულმოდგინებით სრულდებოდა ჩვენ ვიცით, რომ დენიკინელთა მოთხოვნის გამო თითქმის მთელი ადმინისტრაცია და საზოგადოთ მთელი დაწესებულებანი აქ დენიკინელებით გაავსეს, თვითმპყრობელობის ძველი მოხელეები კვლავ მოგვივლინეს უფროსებათ. ჩვენ ვიცით, რომ დენიკინელთა მოთხოვნის გამო ქართული გიმნაზია შესაფერ ბინის უქონლობით უკიდურეს გასაჭირს განიცდის. ჩვენ ვიცით, რომ ,,[illegible] მილეთის'' [illegible] პეტიციები დენიკინელების პეტიციებთან ერთად მყის ლონდონში იგზავნება, როგორც ,,ხალხის ნება-სურვილი''. დიახ, ყოველივე ეს ვიცით, მარა იმას მაინც ვერ წარმოვიდგენდით, რომ ამრჩევლებს სათამაშოთ ტიკინათ გაგვიხდიდენ და თუ მოესურვებოდათ დენიკინელებს, არჩეული საბჭო და გამგეობა გვეყოლება და, თუ არა და—მთელი თვის მუშაობა როგორც საარჩევნო კომისიისა, ისე ამრჩევლებისა ჩაილულის წყალს დალევდა.

ნუ თუ ეს არის მიზეზი არჩევნების ამ დრომდე დაუმტკიცებლობისა?

ჩვენ ვიცით, რომ არჩევნებზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ქართველთა საარჩევნო სიამ. 36 ხმოსანში ქართველებმა 20 ხმოსანი გაიყვანეს. ამით არჩევლებმა ქვეყანას დაუმტკიცეს, რომ ბათუმი ქართული ქალაქია; დაუმტკიცეს, რომ ბათუმი საქართველოს განუყრელი ნაწილია.

და ჩვენ ვეკითხებით ვისაც ჯერ არს:

ნუ თუ ეს არის მიზეზი არჩევნების დაუმტკიცებლობისა?

ქალაქში ყველა დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს არის მიზეზი, რომ არჩევნები ჯერაც დაუმტკიცებელია.

ამასთან ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ მცხოვრებთა აღწერაც მიტომ სწარმოებს ამჟამათ, რომ ამ აღწერის შედეგებით სურთ გააბათილონ საქალაქო არჩევნების შედეგი. დანამდვილებით ამბობენ, რომ თუ მცხოვრებთა აღწერამ სულ სხვა შედეგები მოგვცა, ვინემ საქალაქო არჩევნებმა, მაშინ დაემყარებიან აღწერის შედეგს და საქალაქო არჩევნების დაუმტკიცებლობას აღწერის შედეგებით დაასაბუთებენ. [illegible], რომ სწორედ ამიტომ არ კითხულობენ ამწერლები თუ როდის ინება ქ. ბათუმში ჩამობრძანება ამა თუ იმ პირმა, რომელიც საანკეტო ფურცელში შეაქვთ და არ კითხულობენ ამას მიტომ, რომ სურთ ბათუმის მცხოვრებათ გაასაღონ ის აუარებელი რუსი ლტოლვილები, რომლებიც ბოლშევიკებს გამოექცენ და რომლებითაც გაჭედილია ქალაქი ბათუმი.

მარა ვინ არ იცის, რომ შემთხვევით ჩვენ ქალაქში სტუმრათ მობრძანებული დენიკინელები ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები არ არიან. ვინ არ იცის, რომ თუ გამოქცეულ რუსების რიცხვი დღეს დიდია აქ, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ თითქოს ეს რუსები იყვნენ ქ. ბათუმის ბატონ-პატრონები. სტამბულშიაც ბლომათ ყავთ დაგროვებული რუსეთიდან გაქცეული რუსები, რუმინიაშიაც ერთობ დიდია გაქცეულ დენიკინელთა რიცხვი, მარა არც სტამბოლია ამ გაქცეულთა ქალაქი და არც რუმინია არის დენიკინელ რუსების ქვეყანა.

დიახ, ეს ყველამ კარგად ვიცით და სხვაგანაც, სადაც სურთ მოაჩვენონ, რომ თითქო ბათუმი რუსების ქალაქი იყოს, ძლიერ კარგად მიხვდებიან თუ რაში ყოფილა საქმე.

29 თებერვლის არჩევნებს ასეთი ზომებით ეცრავენ დაჩრდილავს. 29 თებერვლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ბათუმთან საქმიანობით შეკავშირებულმა მცხოვრებლებმა და არა შემთხვევით ბათუმში გზათ გამომვლელებმა. ახლა კი, როგორც სჩანს, სურთ ეს შემთხვევით სტუმრები ბათუმის მცხოვრებლებათ გაასაღონ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ გვაკმარონ დაცინვა. ჩვენ არც ბუშმენები ვართ და არც გოტენტოტები. თითქმის ერთი თვეა მას შემდეგ, რაც საქალაქო არჩევნები მოხდა და მოვითხოვთ კატეგორიულათ გვითხრან: ამტკიცებენ თუ არა არჩევნებს, და თუ არ ამტკიცებენ—დაგვისახელონ ამის მიზეზი''.

საფრანგეთის კომისარი დე-მარტელი ბათუმში.

24 მარტს ბათუმში სამხედრო გემით მოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნი დე-მარტელი.

საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა ბ-ნ დე-მარტელის მობრძანება აცნობა ყველა კონსულებს ბათუმში და გადასცა მათ, რომ ბ-ნი დე-მარტელი იწვევს მათ აუდიენციაზე 25 მარტის ნაშუადღევის 4 საათზე.

საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ბათუმში ბ-ნ მ. მ. ხოჭოლავას ბ-ხმა დე-მარტელმა დაუნიშნა განსაკუთრებული აუდიენცია 26 მარტს დილის 10 საათზე,

ბ-ნ მ. მ. ხოჭოლავასთან ერთად ბ-ნ დე-მარტელს წარუდგენ საქართველოს სამხედრო მისია, რომელიც გენერალ ოდიშელიძის მეთაურობით პარიზში მიემგზავრება, და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელი ბ-ნი ჯემალ ქიქავა.

აუდიენცია ერთი საათით გაგრძელდა.

საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელმა ბ-ნ ხოჭოლავამ შემდეგი სიტყვებით მიმართა ბ-ნ დე-მარტელს:

,,გუშინ თქვენ წინაშე წარსდგენ ადგილობრივი კონსულები, მაგრამ მათ შორის თქვენ ვერ ნახეთ საქართველოს რესპუბლიკის კონსული. თუმცა აქ ჩემ თანამშრომელთა შორის არის პირი, რომელიც კონსულის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ საქმეთა ასეთ მდგომარეობას მე ვთვლი ისტორიულ გაუგებრობათ, რაც, იმედი მაქვს, თქვენის დახმარებით, მალე იქნება თავიდან აშორებული. მართლაც ჩვენი მდგომარეობა გვარიანი უხერხულია, როცა ჩვენ გვიხდება ჩვენ სამშობლო მხარეში მივიღოთ ძვირფასი სტუმრები როგორც უცხოელებმა. და ასეთი ჩვენი მდგომარეობა ბათუმში განსაკუთრებით გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, მშვენიერ საფრანგეთის შვილთათვის, რომლებიც ხუთი ათეულ წლების განმავლობაში თავს დასტიროდით საფრანგეთის სხეულიდან მოწყვეტილ ელზას-ლორენს.

მაგრამ თუ თქვენთვის ელზას-ლორენი იყო მხოლოდ ერთი ყვავილი მთელ ყვავილთა თაიგულში, ჩვენთვის ბათუმი და მისი ოლქი ისეთი ყვავილია, ურომლისოდ დაილუპება არა მხოლოდ სიმშვენიერე საქართველოსი, სახელმწიფოებრივ არსებობისა.

დიდათ მოხარული ვარ აღვნიშნო, არამედ მთელი აზრი საქართველოს რომ ყოველ ჩვენ შეხვედრის დროს დიდ და ჩვენთვის ძვირფას საფრანგეთის წარმომადგენლებთან, ჩვენ ყოველთვის გვიხდება მტკიცება, რომ თქვენ ყველა კარგად მიგვიხვდებით ჩვენ და ყველა განაგრძნობით ეპყრობით ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას.

ამჟამად კი დადგა მომენტი, როცა თანაგრძნობა პასიურ სიმპატიის ფარგლებიდან უნდა გადავიდეს აქტივობაში. და ჩვენ გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა რწმენას რომ საფრანგეთი, რომელიც ყოველთვის აძლევდა კაცობრიობას ინიციატივის მაგალითს, ამ საკითხშიაც პირველი აღიმაღლებს ხმას დასაკმაყოფილებლათ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებებისა, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისა''.

ბ-ნ დე-მარტელის პასუხი.

,,მე დიდათ გმადლობთ მოსალმებისათვის და ამასთან ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ბათუმის საკითხის საბოლოოთ გადაჭრა მეტად ძნელია; ძნელი მიტომ, რომ აქ ერთი მეორეს ეჯახება ბევრ სახელმწიფოთა ინტერესები. მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლათ უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს დროებით ნეიტრალიზაცია ბათუმისა და მის ირგვლივ მდებარე მცირედი ზონისა. საბოლოოთ გადაწყვეტა ამ საკითხისა მოხდება შემდეგ. ყოველ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, საქართველოს სუვერენული ხელისუფლება გავრცელდება ბათუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე.

ამასთან ერთად მე ვფიქრობ, რომ ინტერესები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა, რომლებიც თავდაპირველათ ერთ რესპუბლიკას შეადგენდა და შემდეგ სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გაიყვენ, დაჟინებით მოითხოვენ დაახლოვებას, მჭიდრო თანამშრომლობას და შეთანხმებას, ვინაიდან, ჩემის აზრით, უამისოთ თითეული მათგანის არსებობა მეტად საძნელო გახდება. თუ მივიღებთ ამას მხედველობაში, დროებითი ნეიტრალიზაცია ბათუმისა, მე ვფიქრობ, საქართველოსთვის სასარგებლოც კია. სრულიად გასაგებია, რომ საკითხის გადასაჭრელათ რაიმე გადაწყვეტილების მიღება აქ ადგილობრივათ ჩემთვის შეუძლებელია, მაგრამ თქვენ განცხადებას გადავცემ სადაც ჯერ არს.

ამასთან მე შემიძლია გაუწყოთ, რომ პარიზში დიდი სიმპატიით ეპყრობიან საქართველოს ინტერესებს, ვინაიდან საქართველოს საქმეებს ბრწყინვალეთ იცავენ ბ. ბ. ჩხეიძე და წერეთელი რომელთაც პარიზში დიდ პატივს სცემენ''.

ბ-ნ ხოჭოლავას პასუხი.

,,მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში, როცა მიიღებთ ობიექტურ ინფორმაციას ბათუმის საკითხის შესახებ, თქვენ შეძლება მოგეცემათ უფრო გარკვევით და, იმედი მაქვს, დადებითად გამოვსთქვათ თქვენი აზრი საქართველოს სამართლიან მოთხოვნილებათა შესახებ.

რაც შეეხება საკითხს მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიურ ინტერესების დაცვისას, თქვენ თფილისში გექნებათ საშუალება გაეცნოთ ოფიციალურ დოკუმენტებს და დარწმუნდეთ, რომ საქართველო ყოველთვის ცდილობდა შეეთანხმებინა თავისი ინტერესები მეზობელთა ინტერესებისათვის, გადაეჭრა საერთო საკითხები მეზობლებთან შეთანხმებით. ეკონომიური ინტერესები მეზობლებისა უსათუოთ დაცულ იქნება საქართველოს მიერ, მაგრამ ისიც არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ჩვენი სუვერენული უფლებები ბათუმში და ბათუმის ოლქში უნდა დამკვიდრდეს''.

გენერალ ოდიშელიძის სიტყვა.

,,მე მხოლოდ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა, როგორც ჯარისკაცი და თან ყველაზე უფრო ხნიერი საქართველოს ჯარში, მე დიპლომატთა ენით ვერ ვლაპარაკობ; ამიტომ პირდაპირ და გადაჭრით შემიძლია განვაცხადო: ის, რაც ათას-წლობით ეკუთვნოდა საქართველოს, უნდა დაუბრუნდეს მას აწიც. საჭიროა მხოლოდ ბათუმის ოლქში ცოტა მანძილზე გამგზავრება, რომ თქვენ ყოველ ნაბიჯზე შეხვდეთ ძეგლებს, რომლებიც აშკარად და მჭევრმეტყველურად ღაღადებენ იმის შესახებ, რომ აქ იყო საქართველოს აკვანი, რომ აქედან ეპკურებოდა საქართველოს სასიცოცხლო ძალები, რომ აქ ანვითარებდა ის თავის ნაციონალურ კულტურას''.

ჯემალ ქიქავას სიტყვა.

შემდეგ მიესალმა ბ-ნ დე-მარტელს მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ ქიქავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ,,ეს მხარე მიუხედავათ მრავალ საუკუნოების განმავლობაში შევიწროებისა, ყოველთვის იცავდა ნაციონალურ იდეიას. ჩვენ, ქართველი მუსლიმანები, ვამაყობთ მით, რომ ჩვენი დედა სამშობლო საქართველო პირველათ ეზიარა კულტურას აი ამ მისი ნაწილის მეოხებით. აქაა აკვანი საქართველოს კულტურისა, აქ აჟღერდა უკვდავი ჩანგი რუსთაველისა. ჩვენ ან სულ ვერ ვიარსებებთ, ან და ვიარსებებთ მხოლოდ საქართველოსთან ერთად, მასთან განუყოფელათ''.

ნაციონალიზაცია რკინის გზაზე

,,რკინის გზელი'' სწერს:

,,ისეთი დიდი დაწესებულება, ძარღვი ჩვენი რესპუბლიკისა, როგორიცაა რკინის გზა, უნდა გადავიდეს სახელმწიფო ენაზე და ამ მხრივ ყველა გულწრფელი საქართველოს მოქალაქეს ვალია ხელი შეუწყოს ასეთ მიზანს. ეს ბუნებრივი მოვლენაა და მას რომ კარები ჩაუხუროთ, კარებს აუვლის, ფანჯრებიდან შემოვა.

ჩვენ დიდი ხანია აუცილებლობამ გვიკარნახა ეს და კიდეც დავემორჩილეთ მას და ხელსაც უწყობთ. დიდი ხანია ვამბობთ, რომ რკინის გზის მთავარ ბუხჰალტერიის საქმე უნდა შეითვისოს ქართული ენის მცოდნე პირებმა, მაგრამ აქაც არც ადმინისტრაცია აქცევს ყურადღებას, ხოლო მთავარი ბუხჰალტერიის მესვეურნი კი წინ ეღობებიან, აშკარად და შეგნებულად ხელს უშლიან ჩვენი დემოკრატიის გულის ზრახვების განხორციელებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთავარ ბუხჰალტერიაში მყოფ ბევრ ქართულის მცოდნე პირებს თითქო განგებ არ აცნობენ საქმეს, არ ასწავლიან და არ აკარებენ ბუხჰალტერიას. ყოველივე რთული საქმე, ხარჯთ აღრიცხვა და შემოსავალ-გასავლის დამუშავება—შედგენას ცალკე კაბინეტებში ახდენენ, რაა რომ არავინ შეისწავლოსო. რას გვიწყობენ ამით?''.

მიხაკო წერეთლის ჩამოსვლა

საზღვარ გარეთიდან თფილისში ჩამოვიდა ცნობილი მწერალი მ. წერეთელი (Baton).

მიხ. წეთეთელი გიორ. მაჩაბელთან ერთად იყო სულის ჩამდგმელი ,,საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა'', რომელიც დაარსდა ბერლინში ომის დროს და რომელმაც პირველად მოამზადა ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა ევროპაში.

უკანასკნელ დროს მ. წერეთელი იყო მუდმივი თანამშრომელშვეიცარიაში და გერმანიაში მომქმედ საქართველოს დიპლომატიური მისიისა.

უკანასკნელი ცნობები.

აჭარაში ინგლისელები ტყეებს ჩეხენ და მიაქვთ უცხოეთში, ამით უკმაყოფილო აჭარლები თავს დასხმიან ინგლისელებს; რამდენიმე ინდუსი მოუკლავთ და დაუჭრიათ.

—

სპარსეთის ზღვის ნაპირებზე, ენზელთან ინგლისელები ჯარებს აგროვებენ; ემზადებიან ბოლშევიკურ შემოტევისკენ.

—

თფილისში დაატუსაღეს ახალი ბოლშევიკური კომიტეტი; უნახეს არხინალის გეგმა.

ხევსურთა მოძღვრის მოკვლა

თიანეთიდან გვატყობინებენ, რომ სოფელ ბარისახოში, შაბათს, თავის სახლში მოუკლავთ მღვ. ბესარიონ წიკლაური, ერთგული თანამშრომელი ეროვნულ პარტიისა.

ამბობენ, მკვლელებს გაუძარცვავთ კიდეც წიკლაურის სახლიო.

გამოძიება სწარმოებს და დარწმუნებული ვართ ნამდვილ მკვლელების კვალს მივაგნებთ.

რედაქტორი გრ. ვეშაპელი.

გერმანიაში გამგზავრების გამო

ქ. ქუთაისში, ცენტრში, ორპირის ქუჩაზედ, მეძმარიაშვილის თამბაქოს ქარხნის და ქალაქის აფთიაქის შუა

იყიდება სამი მაღაზია

თლილი ქვის და კარგად აშენებული.

დაწვრილებითი ცნობები გაიგება: ორპირის ქუჩაზედ ეროვნულ პარტიის კომიტეტის ბიუროში დ. ს. ღოღობერიძესთან.

პასუხი და რჩევა მკითხველთ

„კლდის“ რედაქცია აწვდის მკითხველთ განსაკუთრებით პროვინციის, სოფლის მცხოვრებთ, იურიდიულ რჩევას მიწისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში;

მისამართი: თფილისი, წყნეთის ქუჩა № 17.

კორესპონდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი და ეძლევათ

გონორარი.

კორესპონდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების' ფაქტების შესახებ.

დამფუძნებელი კრების ფრაქცია

ნაციონალ. პარტიისა აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება

თფილისში მთავარ კომიტეტში (გრ. ვეშაპელის ბინაზე. წყნეთის ქ. № 17 ტელეფ. № 22)

სოხუმში: აფხაზეთის საოლქო კომიტეტში (გრანდ-ოტელ. № 8) თავმჯდომარე, ვლადიმერ პახვ. ემუხვართან.

ახალციხეში: სამაზრო კომიტეტში (კოტე გვარამაძესთან)

ახალქალაქში: სამაზრო კომიტეტში (საგენტი ნადირაძესთან)

ქუთაისში სამაზრო კომიტეტში (ორპირის ქ. დავ. ღოღობერიძის სახლში).

ზესტაფონში სამაზრო კომიტეტში (ბესარიონ კელენჯერიძის სახლი)

ხაჩხერეში სარაიონო კომიტეტში გიორგი სვიმონისძე წერეთელთან და თამარა ქავთარაძესთან

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე“ კალოუბნის ქ. № 14